KA020141501203120

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 24/4477 **15 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყანაში გამოყენებულ ყველა ენერგეტიკულ რესურსს და მოიცავდეს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ, ინტეგრირებულ გეგმას. აღნიშნული გეგმა მტკიცდება სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის ან მისი დანართის სახით. აქვე აღსანიშნავია, რომ იმავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოს ენერგეტიკულ პოლიტიკას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

ზემოხსენებულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე კონცეფციის დონეზე სავარაუდო ხედვებისა და პირველადი სამუშაო ვერსიების სახით მომზადებულია „საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების პირობები“ და „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ პირველად სამუშაო ვარიანტი (თან ერთვის).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის, რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამავე კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა; სატყეო მეურნეობა; თევზჭერა; ენერგეტიკა; მრეწველობა; ტრანსპორტი; ნარჩენების მართვა; წყლის რესურსების მართვა; ელექტრონული კომუნიკაციები; ტურიზმი; დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა.

ამასთან, ამავე კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართოს სკრინინგის განცხადებით და წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი მისი შემუშავების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გიგზავნით სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციასა და სკრინინგის განცხადებას სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ სკრინინგის პროცედურის განხორციელება და გვაცნობოთ, ექვემდებარება თუ არა ზემოაღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.